


# სიპაუერი გარდაბანში თბოსადგურს აშენებს

**თბილისი (GBC)** – GIG-ის შვილობილი „სიპაუერის“ პროექტი, რომელიც გარდაბანში თბოსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს აქტიურ ფაზაშია.

კომპანიამ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან უკვე გააფორმა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

ესკო -ს ცნობით „სიპაუერი“ უზრუნველყოფს ქალაქ გარდაბანში 150-300 (+/- 10% ) მგვტ სიმძლავრის ნახშირის თბოსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

აღსანიშნავია, რომ თბოსადგური მუდმივად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ქვანახშირს გამოიყენებს.

თბოსადგურის მშენებლობა შემოდგომაზე დაიწყო და ექსპლუატაციაში 2019 წლისთვის შევა.

http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=93250